ქრისტესთვის წამებუღნი

საქართველოს იმედი (წიგნი XXI)

2014-05-01

საქართველოს იმედი (წიგნი XXI)

წმინდა დიდმოწამე შუშანიკი
წმინდა დიდმოწამე კონსტანტი კახი
წმინდა დიდმოწამე მიქელ-გობრონი

წმინდა მოწამე მირდატ მეფე
წმინდა მოწამე მეფე ვახტანგ მესამე
წმინდა მოწამე ქრისტეფორე გურული
წმინდა პროხორე ქართველი
წმინდა ღუკა მუხაისძე
წმინდა ნიკოღოზ დვალი
წმინდა მამა ქაიხოსრო ქართველი
წმინდა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი
წმინდა საღომე ქართველი

პროექტის რედაქტორი - თამარ მამაცაშვილი
შემდგენელი - კახაბერ კენკიშვილი
სტილისტი - საღომე ნიკოლეიშვილი
კორექტორი - ნატო ტოროშელიძე
გარეკანის დიზაინი - ეთერ გზირიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა - ღევან ღაცაბიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2013
მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
www.palitral.ge
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

2011 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოდან წმინდა სამების ტაძარში გადაასვენეს ახალშექმნილი „საქართველოს იმედის“ ხატი. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა იღია მეორემ იმ დღეს ასე მიმართა მრევლს:

„დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი - „საქართველოს იმედი“. ის ღვთის მადლითა და ძალით იქნება სასწაულთმოქმედი და ყოველ ადამიანს, რომელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარულით მიეახლება, აღუსრულდება თხოვა და ღოცვა. ამ ხატის მადლით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით ღმერთმა დააბრუნოს ქართველი ხალხი უცხოეთიდან საქართველოში. ამ ხატის მადლით ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ¡‘

ჩვენი პროექტის მორიგი წიგნი წმინდა მოწამეებს ეძღვნება. წიგნი ორნაწილიანია, პირველ ნაწილში გავიხსენებთ „საქართველოს იმედის“ ხატზე გამოხატულ წმინდა მოწამეებს.

წმინდა დიდმოწამე შუშანიკ დედოფალი (№44);
წმინდა დიდმოწამე კონსტანტი კახი / კონსტანტინე ქართველთა მთავარი (№45 და№ 202);
წმინდა დიდმოწამე მიქელ-გობრონი (№41 და №228);
წმინდა მოწამე მირდატ მეფე (№48);

წმინდა მოწამე მეფე ვახტანგ მესამე (№54);
წმინდა მოწამე ქრისტეფორე გურული (№150);
შემდეგ გავიხსენოთ იერუსალიმში მოღვაწე და აღსრულებული ქართველები: წმინდა პროხორე ქართველი (№92.);
წმინდა ღუკა მუხაისძე/იერუსალიმელი (№187);
წმინდა ნიკოღოზ დვალი (№188);
წმინდა მამა ქაიხოსრო ქართველი (№75);
წმინდა და მართალნი ქრისტეს საფლავის მცველნი: წმინდა იოანე (№199), წმინდა სტეფანე (№220) და წმინდა ესაია (№194) ქართველნი;
წმინდა სალომე ქართველი (№179).

წმინდა შუშანიკ დედოფალი

V საუკუნის II ნახევარი, საქართველოს ეკლესიისა და სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის წმინდანი. ხსენების დღე 17 ოქტომბერი (ძვ. სტილით).

წმინდა შუშანიკი წარმოშობით მიეკუთვნებოდა უძველერეს სომხურ ფეოდალურ ოჯახს - მამიკონიანთა საგვარეულოს, რომელსაც VIII ს-ის 80-იან წლებამდე უპირველესი ადგილი ეკავა სომეხ წარჩინებულ საგვარეულოთა შორის. შუშანიკის მამა, სომეხთა სახელგანთქმული მხედართმთავარი, ვარდან მამიკონიანი, იყო შვილიშვილი წმ. საჰაკ დიდისა და შთამომავალი არშაკიდთა საგვარეულოს მეფეებისა. ვარდან მამიკონიანი სათავეში ედგა სომხების აჯანყებას მაზდეანური სპარსეთის წინააღმდეგ და გმირულად დაეცა სპარსელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში 451 წელს (ე.წ. ვართანანცის ბრძოლა). ვარდანი სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

წმინდა შუშანიკის მეუღლე იყო ვარსქენი, ქვემო ქართლის პიტიახში (მმართველი, ერისთავი), ძე არშუშა პიტიახშისა. წმინდა შუშანიკსა და ვარსქენ პიტიახშს ჰყავდათ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

წმინდა შუშანიკისა და ვარსქენ პიტიახშის ოჯახი ცხოვრობდა ქვემო ქართლის საპიტიახშოს ადმინისტრაციულ ცენტრში, დაბა ცურტავში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ ბოლნისსა და რუსთავს შორის, მდინარეების - მაშავერასა და ხრამის შესართავთან.

467 წელს წმინდა შუშანიკის მეუღლე, ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი, სპარსეთის მეფის, პეროზის (459-484 წწ.) სამეფო კარზე გაემართა და სრული მორჩილება გამოუცხადა მას. მეფე პეროზისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით ვარსქენმა უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა (იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა) აღიარა, რომელიც იმხანად სპარსეთში გაბატონებულ რელიგიას წარმოადგენდა. სპარსეთთან კავშირი ვარსქენ პიტიახშმა კიდევ უფრო განამტკიცა მეფის ასულზე ქორწინების პირობით და აღუთქვა პეროზს, რომ შუშანიკს - თავის „ბუნებით“ მეუღლესა და შვილებსაც მიაღებინებდა მაზდეანობას.

სპარსეთიდან დაბრუნებულ ვარსქენს წმინდა შუშანიკმა მტკიცე უარი განუცხადა მაზდეანობის მიღებაზე და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგული ქრისტიანული სარწმუნოებისა.

ვარსქენი არაერთხელ შეეცადა თავისი მეუღლის სულიერი სიმტკიცის გატეხას მოციქულების მიგზავნით, სიტყვიერი მუქარითა თუ სასტიკი მოპყრობით. პიტიახშმა რამდენჯერმე სცემა თავის მეუღლეს განსაკუთრებული სისასტიკით, სახაღხოდ შეურაცხყო იგი, მაგრამ მისმა ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა; ბოლოს ვარსქენმა ციხეში დაამწყვდია წმინდა შუშანიკი, სადაც მან სრული ექვსი წელი გაატარა. ციხეში წმინდა შუშანიკი ცხოვრობდა ისე, როგორც ქრისტიანი ასკეტი - ლოცულობდა, მარხულობდა და ხორცის დათრგუნვით ზრუნავდა სულის გადარჩენაზე. Aშუშანიკმა ციხეშივე შეიტყო, რომ მისმა შვილებმა უღალატეს ქრისტიანულ სარწმუნოებას და მაზდეანობის მიმდევარნი გახდნენ, რამაც უდიდესი ტკივილი მოჰგვარა მას. ამის შემდეგ დედოფალს შვილების სახელის ხსენებაც კი აღარ უნდოდა. შვილებიც უფრთხოდნენ დედას - მანამდე ისინი ხშირად დადიოდნენ დედის სანახავად საპატიმროში, მაზდეანობის მიღების შემდეგ კი სირცხვილით ვეღარ ბედავდნენ დედასთან გამოჩენას.

წმინდა შუშანიკის სიმტკიცემ და ქრისტიანული სარწმუნების ერთგულებამ მას შორს გაუთქვა სახელი. პიტიახშის მეუღლესთან იწყეს მოსვლა მნახველებმა - დიდებულმა აზნაურებმა და უბრალო ხალხმა. აქვე გამოაჩინა წმინდა შუშანიკმა სასწაულთა აღსრულების უნარიც - იგი ლოცვით კურნავდა მასთან მისულ ავადმყოფებს.

ციხეში ცხოვრების სასტიკმა პირობებმა და ადგილობრივმა არაჯანსაღმა ჰავამ დაღი დაასვა დედოფლის ჯანმრთელობას - პატიმრობის მეშვიდე წელს წმინდა შუშანიკი მძიმედ დაავადდა. მომაკვდავ შუშანიკთან გამოსათხოვებლად მივიდნენ ერისკაცები და სამღვდელოების წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ ვარსქენის ძმა, ჯოჯიკი მთელი თავისი ოჯახობით, აფოც და იოანე ეპისკოპოსები, დედოფლის პირადი მოძღვარი იაკობ ხუცესი.

გარდაიცვალა წმინდა შუშანიკი 475 წლის 17 ოქტომბერს. დედოფლის ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი უნდა დაეკრძალათ იმ ადგილზე, სადაც იგი პირველად გამოათრია მისმა მეუღლემ, ვარსქენ პიტიახშმა. გარდაცვლილი შუშანიკი დიდი პატივით მიაბარეს მიწას.

წმინდა შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ არც ვარსქენ პიტიახშს უცოცხლია დიდხანს: სომეხი ისტორიკოსის, ღაზარე ფარპელის ცნობით, 484 წელს იბერიის ქრისტიანმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა, დაატყვევა ვარსქენ პიტიახში, რომელიც მტანჯველი და სამარცხვინო სიკვდილით აღესრულა ტყვეობაში იმავე წელს.

წმინდა შუშანიკის სულიერ ღვაწლსა და მის მოწამებრივ აღსასრულზე მოგვითხრობს ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულება „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, რომლის ავტორია იაკობ ხუცესი (იგივე იაკობ ცურტაველი), დედოფლის პირადი მოძღვარი.

ჩვენამდე მოაღწია „შუშანიკის წამების“ ორმა ქართულმა რედაქციამ. ერთი მათგანი, ე.წ. გრძელი რედაქცია, V საუკუნეშია შექმნილი; მეორე, მოკლე რედაქცია, თარგმნილია სომხურიდან და შემონახულია ერთადერთ ხელნაწერში, რომელიც X საუკუნით თარიღდება (მისი სომხური დედანი, თავის მხრივ, ქართულიდანაა ნათარგმნი). გარდა ამისა, არსებობს კიდევ გვიანდელი, ანტონ I კათალიკოსის დაწერილი მარტვილობა, რომელიც შეტანილია მის თხზულებაში „მარტირიკა“ და მოკლე, ე.წ. სვინაქსარული რედაქცია, რომელიც მოღწეულია XVIII საუკუნის ხელნაწერით.